

# არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები

ევგენია ქელესაევი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა მესხი,

სამართლის დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ევგენია ქელესაევი

2021 წელი 15 ივნისი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მასშტაბურობითა და სიმწვავით ყველა დროის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. იგი ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ დარღვევას გულისხმობს. განსაკუთრებით საშიში და საყურადღებოა არასრულწლოვნით ვაჭრობის საკითხი, ვინაიდან ამ შემთხვევაში დანაშაულის ობიექტი არასრულწლოვანია, რომელიც ზრდასრულ პირთან შედარებით მეტად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება და მისი გადაბირება და გავლენის მოხდენა ბევრად მარტივია. ყოველწლიურად უამრავი ბავშვი ხდება არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, რომლის წინაპირობას ქმნის მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი, უმუშევრობა და სხვა მრავალი ფაქტორი. ამასთან, დანაშაულის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს შრომით ბაზარსა და სექს ინდუსტრიაში არასრულწლოვან მსხვერპლზე მოთხოვნის არსებობა. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ორგანიზებულ, ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლის სიმწვავეს მისი ლატენტური ხასიათიც განაპირობებს, რაც დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით ქმნის სირთულეებს. საქართველო, როგორც ეკონომიკური მდგომარეობით, ასევე არსებული სოციალური პრობლემებითა და გეო-პოლიტიკური მდებარეობით, სათბურის ეფექტს ქმნის ამ დანაშაულისთვის. ამდენად, სიმძიმისა და გლობალურობის გათვალისწინებით მასთან ბრძოლა ყველა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვნით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სამართლებრივი ასპექტების, მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფისა და პრევენციის მექანიზმების განხილვა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

**მეთოდოლოგია:** არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არსის განსაზღვრისა და ანალიზისათვის, რათა აღნიშნულის საფუძველზე მომხდარიყო დანაშაულის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორების გამოკვეთა, ასევე დანაშაულის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების რეალიზების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან როგორც დადებითი ქმედებების, ასევე მნიშვნელოვანი ხარვეზების წამოწევისათვის და გარკვეული სახის რეკომენდაციების შემუშავებისთვის ნაშრომში

დოქტრინალური, ემპირიული და შდარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები იქნა გამოყენებული. **დასკვნა:** დანაშაულის სიმძიმის, განვითარებისა და გავრცელების ფართო არეალის გათვალისწინებით დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის მიზნით როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ დონეზე შემუშავებულია არასრულწლოვნით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი მექანიზმები, თუმცა პრაქტიკული კუთხით კვლავ არსებობს გარკვეული სახის გამოწვევები, რომელთა დახვეწა/განვითარება და არსებული გამოწვევების დაძლევა მოითხოვს უწყვეტად ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

**საკვანძო სიტყვები:** არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ბავშვები, ექსპლუატაცია, მსხვერპლი, რეაბილიტაცია.

## Abstract

**Introduction:** Human Trafficking is a major problem of all time due to its scale and acuity and ranks third in the world. It implies a gross violation of basic human rights and freedoms. The issue of Child trafficking is particularly dangerous and noteworthy, since in this case the object of the crime is a juvenile, who belongs to a group relatively more vulnerable than an adult, which is much easier to recruit and influence. Annually, many children become victims of Child trafficking. Which is preceded by a severe social and economic background, unemployment and many other factors. Herewith, one of the most important factors causing the growth of crime is the demand for juvenile victims in the labor market and the sex industry. Trafficking in minors, belongs to the category of organized, transnational crimes, the severity of which is also due to its latent nature, which creates difficulties in detecting and preventing crime. Georgia, due to its economic situation, social problems and geopolitical location, is creating fertile ground for this crime. Thus, taking into account the seriousness and globalization, fighting it is a priority for all states. In view of the above, the aim of this paper is to discuss the legal aspects of child trafficking, mechanisms for ensuring the protection of victims and prevention at the international and national levels.

**Methodology:** To determine and analyze the essence of child trafficking, in order to identify the main contributing factors to the crime; As well, to highlight both, positive actions and significant shortcomings in terms of implementation of crime prevention and victim protection mechanisms, from the side of state and to develop some recommendations, doctrinal, empirical and comparative-legal research methods were used in the paper.

**Conclusion:** Thus, considering the acuity, development and broad area of spreading, legal mechanisms against child trafficking have been developed at both the international and national levels in order to combat and prevent crime. However, from a practical points of view, there are still some challenges that need to be improve and the overcoming of the existing challenges require continuous effective steps.

**Keywords:** Child trafficking, Children, Exploitation, Victim, Rehabilitation.

## მადლობა

მადლობა ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს მარინა მესხს გაწეული დახმარების, რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.